

სპორტიელი

ეროვნული
ოლიმპიური
კომიტეტი

სპორტული გაზეთი შაბათი 2 დეკემბერი 2006 №279 (2901)

ფასი 50 თეთრი



**აგერელები
სადღებრძელო:
თასიდან
დაგველიოს,
თასი არ
დაგველიოს!**



თარგმანი
სპორტული
კომიტეტი

გურამ

ბადრი კაშილაძის ფოტო

პროფლიგას საქმე სატენდეროდ აქვს

ესეც ასე, პრეცედენტი უკვე არის — გუშინ „მიხეილ მესხზე“ აქამდე სუპერთასად წოდებული, ან კი „ფოლკსვაგენის თასი“ გათამაშდა და ზედ 10 ათასი ლარიც მოჰყვა — პრიზიც და ფულადი ჯილდოც საქართველოს ჩემპიონ ბოლნისის „სიონთან“ მატჩში ქვეყნის თასის მფლობელ თბილისის „ამერს“ დარჩა. საინტერესო და დაძაბულ თამაშს დაჯილდოების ემოციური ცერემონიალი მოჰყვა, რის შემდეგაც „ფოლკსვაგენის თასის“ ორგანიზატორებმა და სპონსორებმა ეს ამბავი აღნიშნეს. აღსანიშნავია, იყო — შეიქმნა პრეცედენტი იმისა, რისკენაც პროფლიგა დაარსებიდან მიისწრაფვოდა...



გადღობა საქართველოს ფოტო

ვინ იქნება მთავარის მთავარი?

— ძალიან მიხარია და ბედნიერი ვარ, რომ მოვახერხეთ ქართული ფეხბურთით ისეთი ცნობილი კომპანიის დაინტერესება, როგორც „ფოლკსვაგენი“ და პირველივე ცდა ასეთი კარგი გამოდგა — გვიტხრა გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა — გესურს, ქართულ ფეხბურთში ინვესტიციები მოვიზიდოთ, ფეხბურთი გუნდებისთვის, ბიზნესმენებისთვის და, ცხადია, ქომავლებისთვის მომგებიანი იყოს. პროფლიგა კომერციალიზაციისკენ ისწრაფვის და სასიამოვნოა, რომ ამის პრეცედენტი ყველამ ერთად ვნახეთ.

— ყველაფერი ისე იყო, რასაც ელოდით?

— რა როგორ იყო, მატიჩისადმი ქომავის ინტერესით ვსაზღვრავ, ამ შემთხვევაში კი, ვფიქრობ, მართლაც

ის მივიღეთ, რასაც ველოდით — „ფოლკსვაგენის თასმა“ ცული ამინდის მიუხედავად დიდი ინტერესი გამოიწვია და ქომავი სტადიონზე მიიყვანა, ჩვენთვის მთავარი ესაა. სწორედ ესაა ის პროექტი, რაც კიდევ უნდა დაიხვეწოს, გაუმჯობესდეს და უფრო პოპულარული გახდეს. დიდი მადლობა „ფოლკსვაგენს“, რომელმაც ჩვენი შეთავაზება დაუფიქრებლად მიიღო და უზრუნველყო ამ მატჩის ჩატარება.

— ფულადი ჯილდო მომავალში გაიზრდება?

— აუცილებლად. პროფლიგა და „ფოლკსვაგენი“ ამასაც ითვალისწინებენ. წლიდან წლამდე ფინანსური წახალისება გაიზრდება. მიმართა, რომ ფეხბურთის განვითარებისთვის ეს ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. „ფოლკსვაგენის თასის“ მომავალი გათამაშება ზაფხ-

ულში, ანუ მომდევნო სეზონის დაწყებამდე გაიმართება და ვფიქრობ, უფრო საინტერესო და ქომავთათვის მიმზიდველი იქნება. დღეს კი თბილისის „ამერს“, მის ხელმძღვანელობას, ფეხბურთელებსა და ქომავებს ვულოცავ ამ წარმატებას. ვისურვებდი, მათი ჟინი სხვებსაც გადასდებოდა.

— სუპერთასს უკვე ჰყავს სპონსორი, თავისი სპონსორი ჰყავს დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასსაც...

— მალე ეროვნულ ჩემპიონატსაც ეყოლება გენერალური სპონსორი... უკვე გვაქვს რამდენიმე საინტერესო წინადადება და შესაძლოა, მალე ტენდერისმაგვარიც კი გამოვაცხადოთ. ეროვნული ჩემპიონატის სპონსორი წაგებული არ დარჩება, პირიქით, დაახლოებით სამმაგ მოგებას მიიღებს.

— რა ვიგულისხმობთ „მალეში“ — ეროვნულ ჩემპიონატს სპონსორი გაისად ეყოლება?

— დღეს პირველად ვიტყვი, რომ დღეიდან პროფლიგა სერიოზულად განიხილავს ყველა იმ წინადადებას, რომელიც ეროვნული ჩემპიონატის სპონსორობის თაობაზე გვექნება. ეროვნულ ლიგას მიენიჭება სპონსორის სახელწოდება. ეს ახალი არ არის, ყველა ევროპულ ლიგას თავისი გენერალური სპონსორი ჰყავს და ლიგაც მის სახელს ატარებს. რამდენიმე კომპანიას უკვე სურს, ეროვნული ჩემპიონატის სპონსორი იყოს, ასე ვთქვათ, მათ შორის კონკურენციაა. ჩვენ კი საინტერესო წინადადებებს კიდევ ველით. ახლაც გამოჩნდა, რომ პროფლიგის შექმნით ქართული ფეხბურთისთვის საჭირო და კარგი საქმე გაკეთდა.

კობა ინასარიძე



გურამ დოღვენიძე

გერმანია	ბუნდესლიგა. XV ტური მაინცი 0:0 შტუტგარტი II ბუნდესლიგა. XV ტური კოლენცი 0:3 ჰანზა ჰაფენბორნი 1:1 ფრაიბურგი ესენი 1:0 ფიურტი ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XVIII ტური ალანი 0:3 ოსნაბრიუკი ჰამბურგი (ა) 1:0 დინამო შნიონი 0:2 ვერდერი (ა)
ავსტრია	I დივიზიონი. XX ტური აუსტრია (ლ) 4:1 შვანინგბაუმი აუსტრია (ა) 2:2 ადმირა ჰარტბერგი 0:3 კერნთანი ლინცერი 2:4 ლუსტინაუ ლეოპოლდი 3:3 კაპფინგბერგი პარნდორფი 0:1 ბრატკორნი
იტალია	სერია B. XIV ტური ჯანოვა 1:1 იუვენტუსი
საფრანგეთი	II დივიზიონი. XVIII ტური აიარო 3:0 დიჟონი შატორუ 3:1 ამიენი კრეტაი 3:1 ნიორი გენოვი 4:2 ბრესტი ისტრი 2:2 ლიგურენი ლე ავრი 3:0 მონეაღი ტურსი 1:1 გენგამი სტრასბურგი 1:1 ბასტია
ბელგია	იუპილერლიგა. XV ტური ბიჰეჩინი 1:1 ანდერლექტი
ჰოლანდია	მრამდივიზიონი. XV ტური გალფანიკი 2:1 სპარტა II დივიზიონი. XIX ტური აპელდორნი 2:0 ეინდჰოვენი დენ ზოსნი 3:0 ვოლენდამი დორდრეხტი 1:2 იბლსი ალფირა 2:2 კამბური ვოლფ 2:0 ჰაარლემი ჰელმონდი 0:2 ოსნი მაასტრისხტი 1:3 ბრაფსხაპი ტელსტარი 2:4 როჰანდალი ვეინდამი 1:1 სიტარდი ვენლო 1:0 იფენი
პორტუგალია	სუპერლიგა. XII ტური სპორტიზმი 0:2 ბანფიკა
თურქეთი	სუპერლიგა. XVI ტური ბურსა 2:1 ტრაზონი
უკრაინა	თასის მემორიალური პირველი მატჩები სევესტოპოლი 0:1 ზახტარი დინამო 1:1 დნიპრო
ინგლისი	ასოციაციის თასი. II ეტაპი ბრედფორდი 0:0 მილუოლი სტოკპორტი 2:1 უიკოვი კინგს ლინი 0:2 ოლდემი
უნგრეთი	ბორსოდი ლიგა. XVI ტური ჯალაბაგისაბი 2:1 ფაჰერჰარი
რუმინეთი	A დივიზიონი. XVIII ტური გლორია 2:1 ნაპლეული პოლიტანსიკა 1:3 შინიბა

ფოლქსვაგენის თასი



თბილისი. 1 დეკემბერი. 14 საათი. მიხილ მისნი. 4 000 (ტევადობა 25 600)

სიონი 0:1 ამერი

0:1 დოლიძე (37)

სიონი: ბობლიაშვილი, ჭიჭვიშვილი, ლ. ჭელიძე, კობაური, რაქვიაშვილი, ოქროპირიძე, ლ. ბაჯელიძე (შავგულიძე 62), ვ. უგრეხელიძე (კვიციანიშვილი 46), ა. ალაფიძე, ევლიძე (ქარაძე 80), ჩახევი, სათადარიგონი: ბათიაშვილი; სვანიძე, ბ. ცხადაძე, ქურასხედიანი

ამერი: ქვანახია, ელბაქიძე, დავითიძე, დიდავა, ჩიკვილაძე, დეკანოსიძე, ჯელაძე, ბოლქვაძე, ტატანაშვილი, დოლიძე (დ. მჭედლიშვილი 90), რ. წინამძღვრიშვილი (სევასტოპოლო 84) სათადარიგონი: ლ. ნადირაშვილი; კედელაშვილი, გვაბაბია, გაბისკირია, სილაგავა

გაწვრთნის მენეჯერები: ბოლქვაძე (10), დიდავა (13), რაქვიაშვილი (22), ქვანახია (70), ჩახევი (86), ოქროპირიძე (90)

შსპ-ები: დ. ხარბიანიშვილი; მ. ელივაშვილი, გ. ჩიგოგიძე; მ. შაისურაძე

დამამპირებელი: რ. ტალიაშვილი; **დამლაშვნი:** ბ. ბურჯულიანი

ჩით და რობორტ ბასუპერდა ამერი



მურამ დოლიძე ავსტრიის ფოტო



დავით თაყაიშვილი

ფოტოგრაფი, ნამდვილი სათასო მატჩი არად დაგვიღვეთ იმას, რომ ერთი გუნდი ჩემპიონატის ლიდერებშია, მეორე კი ცხრილის შუაში — ბრძოლაა, დედა შვილს არ აიყვანს და ხანდახან ის იმარჯვებს, ვისაც მეტოქის დარი ფეხბურთელები არ ჰყავს.

გუშინ კი კონკრეტულ შემთხვევასთან გვექონდა საქმე. ჩემპიონი „სიონი“ წინა სეზონთან შედარებით დასუსტდა, აღარც ის ფეხბურთელები ჰყავს, აღარც ის დახმარება აქვს და კიდევ ის, რომ ფინანსური საკითხების გადაწყვეტლობის გამო გუნდმა ჯერაც არ იცის, გაემგზავრება თუ არა მოსკოვში „თანამეგობრობის თასზე“ სათამაშოდ.

თასის მფლობელი „ამერი“ კი ჩემპიონზე უკეთეს მდგომარეობაში შეხვდა სუპერთასის ანუ „ფოლქსვაგენის თასის“ მატჩს. „ამერმა“ ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო ტურში კი დაკარგა ლიდერობა, მაგრამ სად მისი ახლანდელი ყოფა და „სიონისა“.

მოკლედ, ლოგიკით და ყოველგვარი „ბურთი მრგვალია“ პრინციპის უგულვებელყოფით, „ამერს“ გუშინ უნდა მოეგო „სიონისთვის“ და ასეც მოხდა. ის, რომ საპრიზო ფო-

ნდი ათი ათასი ლარი იყო, დამცავ ფარად „სიონს“ ვერ გამოადგა.

შესაძლოა, „სიონს“ გამოსდგომოდა პირველი გოლის ფაქტორი, რაც ასეთ მატჩებში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. პირველად კარში სწორედ ბოლნისელებმა დაარტყეს — ლევან ბაჯელიძეს ზურაბ ქვანახიამ აუღო.

„ამერს“ პირველ ტაიმში უფრო ფრთხილი ტაქტიკა ჰქონდა არჩეული, თითქოს მეტოქის შეცდომას უსაფრთხოებოდა, მაგრამ „სიონი“ ტაიმის ბოლო წუთებამდე დაცვაში თითქმის უშეცდომოდ ირჯებოდა, ხოლო ტაიმის შუაში საგოლე მომენტები შექმნა — კამერუნელი ერიკ რომელი ჩახევი მარცხენა ფლანგზე ორ ამერელს გაუსწორდა, კარის გასწვრივ თანამემამულე გასტონ ევორესკენ გაგზავნა ბურთი, რომელიც შემდეგ ვლადიმერ უგრეხელიძეს მიუვიდა — „სიონის“ მარჯვენა ფლანგელებმა 3-4 მეტრიდან ვერ დაუმიზნა ბურთი კარს.

ამ მომენტის შემდეგ უმაღლესი გამოჩენილბა, რომ მეტოქის ჩხვლეტა „ამერმა“ გამოწვევად მიიღო. „სიონმა“ კიდევ ერთი ხიფათი შექმნა — ბაჯელიძის დარტყმული ქვანახიამ კუთხურზე მოიგერია.

მატჩის სიუჟეტი „სიონისთვის“ ცუდს არაფერს მოასწავებდა, მაგრამ, შეიძლება ითქვას, „ამერმა“ სწო-

რედ გარდამტეხ მომენტში იმარჯვა — რატი წინამძღვრიშვილმა მეტოქის საჯარიმოსთან შეინარჩუნა ბურთი, მარცხენა ფლანგზე გიზო ჯელაძეს გადააწოდა, რომელმაც ერთი სიონელი გააცურა, უზუსტესად უპასუხა გრიგოლ დოლიძეს და „ამერმა“ გამარჯვების გოლი გაიტანა.

საჭირო დროს, საჭირო მომენტში — ჯელაძე მანამდე დიდავს არ გამოირჩეოდა, მაგრამ შეხვედრის ბედი პირველ რიგში სწორედ მისმა ჩაუქობამ განაპირობა.

ტაიმის დასრულებამდე დიდი დრო აღარ იყო. „ამერმა“ დავით ბოლქვაძის და დიმიტრი ტატანაშვილის შორეული, მაგრამ არაზუსტი დარტყმებით გაიწია მეტოქეზე და 45 წუთიც ამოიწურა.

შესვენებაზე „სიონის“ გულშემატკივართა ერთი ნაწილი „ამერის“ კარის უკან მოკალათებას შეეცადა, მაგრამ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა სამსახურმა მათ ამის ნება არ დართო, თქვენს კუთვნილ ადგილს დაუბრუნდით.

მიუხედავად სუსხისა და სადავი დღისა, გულშემატკივარი ორივე გუნდს ჰყავდა და ისინი ერთმანეთთან კორექტულები იყვნენ.

მეორე ტაიმის პირველივე წუთზე „სიონს“ რიგიანი შეტევა გამოუვიდა, მაგრამ მისი დაგვირგვინება შთამბეჭდავი არ გამოვიდა — არჩი-

ლ ალავეციძის სუსტი დარტყმა ქვანახიამ იოლად მოინაგრა.

„სიონს“ ჯანი და მხნეობა აღარ ემჩნეოდა, ბოლნისელ ფეხბურთელებს თითქოს ძალა გამოეღიათ მუხლებში, მათში აღარ ჩანდა გამარჯვებისკენ სწრაფვა, იყო მონღოლმება, მაგრამ არ იყო აფეთქება. „ამერი“ კი თითქოს გრძობდა ამ ყველაფერს.

კახა ცხადაძემ შეცვლებს მიმართა, მაგრამ ამითაც ვერაფერი შეცვალა. ხელის გულზე დადებულივით გამოჩნდა, რომ ადამიანური რესურსით „სიონი“ მკვეთრად ჩამორჩებოდა მეტოქეს.

რამდენჯერმე „სიონი“ კარგა გვარინად ანერვიულა ჯელაძემ, მისი ერთ-ერთი გაბრწყინების შემდეგ წინამძღვრიშვილს შეეძლო უპირატესობის გაზრდა — ახლოდან, თუმც არცთუ იოლი სიტუაციიდან ზუსტად ვერ დაარტყა.

„ამერი“ თავიუღმოდგომილი არ მიდიოდა შეტევაში, ამის აუცილებლობა არც იყო. თამაში, როგორც იტყვიან, უკვე გაკეთებული ჰქონდა. მატჩის ბოლო წუთებზე ბოლქვაძემ ხვეული დარტყმით „სიონის“ კარის ძელი შეაპორტმანა და შეხვედრაც დასრულდა — შეექვსედ გათამაშებული სუპერთასი „ამერმა“ მოიგო, რომელსაც კოლეგიაში უკვე ორი თასი აქვს.

პრესკონფერენცია

კახა ცხადაძე: მატჩმა გაამართლა. ცოტა მაყურებელი; კი იყო, მაგრამ ვინც მოვიდა, სიამოვნება მიიღო. ორი განსხვავებული ტაიმი გამოვიდა, პირველში ტერიტორიული უპირატესობა ჩვენი იყო. ფეხბურთელთა საშემსრულებლო კვალიფიკაციით მეტოქეს ჩამოვუარდებით — „ამერს“ უკეთესი კონტინენტები ჰყავს და ასეთ დროს მხოლოდ მონღოლმებით და სწორი თამაშით ძალიან ძნელია გამარჯვება. „სიონს“ განსაკუთრებით შუა ხაზში სჭირდება გაძლიერება. კლასი თავისას შეება — უგრეხელიძემ ორი მეტრიდან ვერ გაიტანა, ჯელაძემ კი ყველაფერი კარგად შეასრულა.

გიორგი ჩხარაძე: ორივე გუნდმა შემტევი ფეხბურთი ითამაშა, პირველი ტაიმის დასაწყისში უფრო პოზიციური თამაში ავარჩიეთ, მეორე კი უნდა გავგვემწვავებინა. ჩვენმა ფეხბურთელებმა კარგად იმუშავეს და დავალება შეასრულეს. ვინც ამ მატჩზე არ მოვიდა, ბევრი დაკარგა. მაღლობა ორივე გუნდის გულშემატკივრებს. ახალშექმნილმა გუნდმა ეს ტიტული რომ მოვიგეთ, ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხება წინამძღვრიშვილს, ის სასარგებლო იყო გუნდისთვის, თუმც უფრო დიდი პოტენციალი აქვს და შესაბამისად, მეტი შეუძლია.



ბადრი აბთიულაის ფოტოები





დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათავაზება ჯგუფური ეტაპი. მემკვიდრე ტური



ორი მთავრდება, ორი ბრძოლა

დღეს სათასო ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურია, ოღონდ რვავე მეოთხედფინალისტი ვერ გახდება ცნობილი. საქმე ისაა, რომ „ამერი“ — „სიონის“ გუშინდელი სასუპერთასო შეხვედრის გამო, ვლდანელებიც და ბოლნისელებიც 5 დეკემბერს ითამაშებენ თავიანთ მატჩებს. ქვემოქართლები „ბათუმს“ ხვდებიან და მხოლოდ პირველ-მეორეადგილოსანს გააჩვენებენ ერთმანეთში, „ამერი“ კი „კახეთს“ მასპინძლობს და აი, ინტრეგა: თუ წააგო, ჯგუფში ჩარჩება. თუმცა, რეალურად რომ ვთქვათ, საეჭვოზე საეჭვოა, თელაველებმა ამგვარი კარნავალი მოიწყონ...

A ჯგუფიდან დავიწყით, სადაც უკვე მეოთხედფინალისტი „ხესტაფონი“ პირველიველ „სპარტაკს“ დაუხვდება და, თუ პირველზე გასვლა სურს, უნდა მოუგოს. „სპარტაკი“ კი სათასო თექვსმეტეულში ერთ-ერთია იმ სამ გუნდთან, ვისაც გოლი არ გაუტანია.

კიდევ ერთი გოლუნახავი, თქვენ წარმოიდგინეთ, „ვიტ ჯორჯია“. ნესტორ მუმულაძის გუნდი ბოლომდე უბრად დარჩა თასთან და, როგორც ადრე, საგარაუდოდ, დღესაც მეორე შემადგენლობას დაახვედრებს „ბორჯომს“, რომელიც „ტორპედოსთან“ ერთად უკვე გავიდა მეოთხედფინალში. ქუთათურები კი ახალციხეში ჩავლენ „მესხეთთან“ და პირველ საფეხურზე გასამაგრებლად თავი რომ დაიზღვიონ, ქულა უნდა აიღონ.

რუსთავის „ოლიმპი“ დღეს ოფიციალურად გამოუცხადებს სოლიდარობას „ვიტ ჯორჯიას“, ანუ თასს დაემშვიდობება. გიორგი კიკნაძის გუნდმა წინა ტურში მეორე შემადგენლობით სძლია „დინამოს“, მაგრამ რაში წაადგა? ოლიმპელები ალბათ მოუგებენ „ნორჩ დინამოელს“, მაგრამ იმავდროულად „დინამო“ „ჩიხურას“ მასპინძლობს და ღუშან უპრინის ბიტება ფრეც რომ ითამაშონ, რუსთაველები უსაქმოდ დარჩებიან.

D ჯგუფში დღეს ერთი არაფრისმომცემი თამაშია — „მეშაქრე“ „მერანს“ ხვდება. აგარელებს სათასოდ სად სცხელათ, პირველ ლიგაში მესამე ადგილზე არიან და უმაღლესისკენ იმზირებიან. თავის მხრივ, „მერანსაც“ კარგა ხანია, თასს ხელი დაუქნია...

ილია ნანოხაშილი

A ჯგუფი

ზესტაფონი. 2 დეკემბერი. 14 საათი. ხელშეწყობილი
სპარტაკი თბილისი — ზესტაფონი
მსაჯები: ვ. გუმბერიძე; ე. ნარმანია, დ. გოგოლაძე; დ. სანაია

თბილისი. 5 დეკემბერი. 14 საათი. აშშ-ში

ამერი თბილისი — კახეთი თელავი
მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ი. ურუშაძე, თ. ხუჭუა; ო. ხეცაძე

B ჯგუფი

ახალციხე. 2 დეკემბერი. 14 საათი. ცენტრალური
მესხეთი ახალციხე — ტორპედო ქუთაისი
მსაჯები: ლ. სილაგავა; კ. ტეფნაძე, ს. სპიციანი; დ. სანოძე

მცხეთა. 2 დეკემბერი. 14 საათი. ბრძანა

ვიტ ჯორჯია თბილისი — ბორჯომი
მსაჯები: ა. ნონიკაშვილი; ზ. ბერულავა, გ. ყრუაშვილი; ზგ. ასკაროლი

C ჯგუფი

თბილისი. 2 დეკემბერი. 14 საათი. ნორჩ დინამოელი
ნორჩ დინამოელი თბილისი — ოლიმპი რუსთავი
მსაჯები: ლ. ფანაშვილი; დ. კურტიანიძე, შ. ქუხილაძე; ო. მოლოდინაშვილი

თბილისი. 2 დეკემბერი. 14 საათი. მიხაილ მისხი

დინამო თბილისი — ჩიხურა საჩხერე
მსაჯები: ა. კრიჭიაშვილი; ბ. ჭიჭინაძე, ზ. გურგენაძე; მ. ბეჟულიაშვილი

D ჯგუფი

აბარა. 2 დეკემბერი. 14 საათი. ცენტრალური
მეშაქრე აგარა — მერანი თბილისი
მსაჯები: ლ. კვარაცხელია; ა. გუნთაძე, თ. ბედუკიძე; ს. გაგნიძე

პოლენისი. 5 დეკემბერი. 14 საათი. თამაზ სტიფანია

სიონი ბოლნისი — ბათუმი
მსაჯები: გ. კიკაჩიშვილი; ა. კოკიაბა, ი. უკლება; ვ. ელისაბეგაშვილი

A ჯგუფი		B ჯგუფი	
ზესტაფონი	5 3 1 1 11:3 10	ბორჯომი	5 3 2 0 6:1 11
ამერი	5 3 1 1 9:5 10	ბორჯომი	5 2 2 1 5:5 8
კახეთი	5 2 1 2 7:8 7	ვიტ ჯორჯია	5 0 3 2 0:2 3
სპარტაკი	5 0 1 4 0:11 1	მესხეთი	5 0 3 2 1:4 3
C ჯგუფი		D ჯგუფი	
ჩიხურა	5 3 2 0 6:1 11	სიონი	5 4 1 0 8:2 13
დინამო	5 3 0 2 12:6 9	ბათუმი	5 3 2 0 11:2 11
ოლიმპი	5 2 1 2 6:6 7	მერანი	5 1 1 3 4:8 4
6. დინამოელი	5 0 1 4 2:13 0	მეშაქრე	5 0 0 5 0:11 0



ჩიხურა თბილისში გადასასვლელია?

ამბობენ, ახალი წლიდან საჩხერის „ჩიხურას“ შემადგენლობას ვეღარ იცნობთო. დაინყება სატრანსფერო პერიოდი და ზემოიშვრები თანდათან მოიკრებიან ძლიერ ფეხბურთელებს — როგორც შევიტყვეთ, ფეხბურთელთა 70 პროცენტს „ჩიხურადან“ გაუშვებენ. საჩხერელთა თავკაცი ხვიჩა ძასრაშვილი ვერ ასე კატეგორიულად არ საუბრობს. მას პირველი წრის შეფასება ვთხოვეთ, თუმცა შედეგის მხრივ შესაფასებელი არც არაფერია — „ჩიხურასგან“ მეთერთმეტე ადგილზე მეტს ელოდნენ...

— ცხადია, შედეგით ძალიან უკმაყოფილო ვარ, თუმცა ობიექტური მიზეზებიცაა: ჯერ ერთი, ნორმალური შეკრება ვერ გავიარეთ და მეორეც, კარგ მინდორზე ვერ ვივარჯიშეთ.

— სეზონის წინ გრივალეთში ზომ გაიარეთ შეკრება?

— კი, მაგრამ იქ თითქმის სულ დაშლილ გუნდებს ვეთამაშეთ, საკმარისი ტესტ-მატჩებიც ვერ მოგვიკრავდა.

— მეორე წრეში გუნდი ჭიათურაში ითამაშესო, მართალია?

— საგარაუდოდ, ასე იქნება. საჩხერის სტადიონზე რეკონსტრუქცია დაიწყება, გუნდი კი თბილისში იცხოვრებს. ზუსტად ვერ გეტყვით, შესაძლოა, თბილისშივე ჩავატაროთ საშინაო მატჩები.

— ჩემპიონატში არა, მაგრამ თასზე კი თამაშობთ წარმატებით და რუსთავის „ოლიმპი“ ჩატოვთ ჯგუფში...

— იმედია, ასეც გავაგრძელებთ. თასზე მართლაც ძლიერად ჩავატარეთ მატჩები. თასის ბოლო ტურში კი „დინამოსთან“ მეორე შემადგენლობით ვითამაშებთ — მეოთხედფინალში ხომ გასულელები ვართ. თანაც ძირითადის ფეხბურთელები უკვე გაუშვით შეტყულებათ.

— „ჩიხურადან“ ბევრ ფეხბურთელს გაუშვებენო, ამბობენ. გვარებს ხომ ვერ გვეტყვი?

— არა, ჯერ ამაზე ლაპარაკი ადრეა. არც ვიცი, ვინ წავა და ვინ დარჩება...

ილია ნანოხაშილი

ისევ: ქინძლაქა და ანართოსისი?

გიორგი ქინძლაქას, ვისაც ეროვნულ ნაკრებში 54 მატჩი ჩაუტარებია და 8 გოლი გაუტანია, რუსული პრემიერლიგის „რუბინთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და უკვე მიიღო პირველი რეალური შემოთავაზება ყოფილი გუნდიდან — 33 წლის ქინძლაქას კვიპროსული „ანართოსისი“ ეპატიყდება, რომელშიც „რუბინამდე“ თამაშობდა. „ანართოსისის“ მითამაშე-მწვრთნელი კვლავაც თემურ ქეცბაია.

ქინძლაქემ „რუბინში“ სეზონახვევარი გაატარა, წლეულს ჯანმრთელობამ უმტყუნა — ჯერ ნეკნი გაუტყდა, მერე საზარდულმა შეაწუხა და სეზონიც, ფაქტობრივად, გაუცდა.

ლევანტემ ყენიას მუოზლები დაიბარა

16 წლის ლევან ყენია წუხელ ჩამოვიდა თბილისში. „ლოკომოტივის“ ნიჭიერი შემტევი ესპანურ „ლევანტეში“, კერძოდ კი, „ლევანტეს“ 18-წლიანთა გუნდში იყო გასინჯავაზე. ყენიამ ერთი ტესტ-მატჩი ჩაატარა, გოლი შეაგდო, ორი საგოლე პასი გააკეთა და იქაურთა მოწონებაც დაიმსახურა.

შედეგა თუ არა ლევანის ტრანსფერი? გუშინ ფეხბურთელის ბიძას, რუსთავის „ოლიმპის“ მწვრთნელ გიორგი კიკნაძეს შევეხმიანეთ და საგულისხმო ინფორმაცია მივიღეთ:

— გუნდებს შორის მოლაპარაკებები გრძელდება, მაგრამ კონკრეტული ჯერ არაფერია. ისე, არ არის გამორიცხული, ტრანსფერის ამბავი მალევე გადაწყდეს და, საგარაუდოდ, მეც მომიწევს ესპანეთში ჩასვლა ამ საკითხზე“.

მოკლედ, ყენიას „ლევანტეში“ გადაბარების საქმე დაძრულია.



ტრაბზონსფორს გოგუა გაუბია

წარმატებული სეზონის შემდეგ ნაღიკის „სპარტაკის“ ხელმძღვანელობა გოგუას გოგუას შენარჩუნებას კი ეცადა, მაგრამ ჩვენებურს ანდრეი ჩერევიჩენკოსთან აქვს პირადი კონტრაქტი და მთავალ გუნდსაც სწორედ ის შეარჩევს.

აქამდე გოგუას შეძენის მსურველთა შორის გერმანულ და რუსულ კლუბებს ასახელებდნენ, მაგრამ ჩანს, ქართველი ფეხბურთელით დაინტერესებული კლუბების გეოგრაფია გაიზარდა — როგორც შევიტყვეთ, გოგუას შეძენა თურქულ „გალათასარაის“ და „ტრაბზონსფორს“ სდომებიათ.

თურქი ურუნალისტების ცნობით, „გალათასარაის“ და „ტრაბზონსფორის“ სელექციონერები საქართველოს ნაკრების საფრანგეთთან და გერმანიასთან თამაშებზე აკვირდებოდნენ გოგუას. მათივე თქმით, კლუბებმა უკვე მიმართეს ფეხბურთელის მენეჯერს.

გუშინ „ტრაბზონსფორის“ ოფისში დავრეკეთ და გვითხრეს, ფეხბურთელ გოგუას ვიცნობთო, თუმცა მისით დაინტერესება არც უარყვეს და არც დაადასტურეს.

მიხაილ შორჭოლიანი

არც ჰოს ამბობს და არც არას

დევიდ ბეკემის მადრიდის „რეალში“ დარჩენა საეჭვოა, ან შეიძლება ვთქვათ — ძალიან საეჭვო. სამეფო კლუბს და „ბექსს“ ერთმანეთთან ურთიერთობა გაუფუჭდა და ეს იქამდე გავრცელდება, სანამ ფაბიო კაპელო ინგლისელს სათადარიგოთა სკამს არ მოაცილებს. ბექემი კონტრაქტს არ გაახანგრძლივებს, რადგანაც თამაშის შესაძლებლობა არ ეძლევა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ბექემთან კონტრაქტის ორი წლით განახლება „რეალის“ პრეზიდენტ კალდერონს თავად იტალიელმა მწვრთნელმა სთხოვა. ეს 26 ოქტომბერს მოხდა და მაშინ „ბერნაბეუს“ შიდა სამხარეულოში სრული თანხმობა სუფევდა. ყოველ შემთხვევაში, სენიორ კალდერონის თქმით, „რეალის“ ერთ მუშტად შეკრულ ოჯახში უკმაყოფილონი არ არსებობდნენ და ინგლისელიც კრსად წამსვლელი არ იყო. 30 ოქტომბერს კი თავად დევიდმა განაცხადა: „მე „რეალში“ ვრჩები, რადგან რამონ კალდერონისა და ფაბიო კაპელოს პროექტის წარმატებისა მჯერა.“

ერთი შეხედვით ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ამ სიამოტკბილობიდან ერთი თვე გავიდა და სამეფო თეთრების ინჩასება მოუსვენრად იკითხეს — ბექემი გუნდთან კონტრაქტს აღარ ახანგრძლივებს, მისი „ბერნაბეუდან“ წასვლის მერე კი „რეალში“ ალბიონელით ფენომერალური პასების გამჩარხავი ვინდა იქნებაო (მოგეხსენებათ, გრძელი პასის ტექნიკას კაპელოს გუნდში ბექემით ვერავინ ფლობს). დევიდს მადრიდულ გრანდთან ახლანდელი კონტრაქტი 2007 წლის 30 ივნისს უმთავრდება, ხოლო სატრანსფერო შემოთავაზებების მიღება-განხილვა უკვე 2007-ის 1 იანვრიდან შეეძლება. ერთი სიტყვით, დრო აღარ ითმენს. და ამ გაუგებრობის მიზეზი რა არის? ყველაფერი შეიძლება ძალიან მარტივად ავხსნათ. 31 წლის ბექემმა ადრე კლუბის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მადრიდში დარჩება და კარიერასაც „რეალში“ დაასრულებს, ოღონდ ერთი პირობით — ექსპანსივტიკური სამეფო გუნდის ძირითადში რეგულარულად უნდა ხვდებოდეს. დე-

ვიდი პატიოსანი კაცია და ამას უბრალო ვარსკვლავური ახირების გამო არ ითხოვს. უბრალოდ, ინგლისელს სურს, თავი რეალურად გამოსადგე ფეხბურთელად იგრძნოს, რომელიც „ბერნაბეუს“ სეზონში 6,5 მილიონ ევროს ტყუილბურალოდ არ იღებს. მადრიდში დარჩენის შესახებ უკვე რამდენჯერმე გაესაუბრა სამეფო გუნდის გენერალური დირექტორი ზოსე ანხელ სანჩესი კი თითქმის ყოველდღე არწმუნებს ინგლისელს, კლუბს შენთან თანამშრომლობა სულ მცირე, 2009 წლამდე მაინც უნდაო.

თუმცა ბოლო ხანებში მიღებული ტრავმის შემდეგ ბექემმა გადაწყვეტილების მიღება გააჯანჯლა. მან ოთხშაბათს პირველად ივარჯიშა გუნდთან ერთად.

ფაბიო კაპელომ ვალდებებს საწვრთნელ ბაზაზე შეგირდთან ისაუბრა და განუცხადა, რომ მის ოსტატობას ძველებურად ენობა. თუმცა ინგლისელმა მშვენივრად იცის, რომ დამრიგებელი 27 სექტემბერს „ლიონთან“ წაგების შემდეგ „რეალის“ მარჯვენა ფლანგზე „ბექსის“



ყოფნას ეჭვის ოვალთი შესცქერის. რამონ კალდერონი მასთან კონტრაქტის გახანგრძლივებას მოუთმენლად ელის, მიატოვირც იმედს არ კარგავს, თუმცა ბექემი ხელშეკრულების განახლებაზე ჯერ არც ჰოს ამბობს და არც — არას. ამასობაში კი ალბიონელთან და-

ხლოებული პირები აცხადებენ, დევიდს მადრიდში უყვარს, „რეალში“ ყოფნითაც ამაყობს, მაგრამ თუ კაპელომ თამაშის საშუალება არ მისცა, თვითმფრინავის ბილეთის შეძენის გარდა, სხვა არაფერი დარჩენილია.

ლალო სომერიკი

უფასო თასი 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

სრემლიანი მოგება



„ნანსის“ სტადიონზე დიდი გაწვევა-გამოწვევა იყო

ფრანგულმა „ნანსიმ“ ძალიან იოლად მოუგო როტერდამის „ფეიენორდს“ და მეთექვსმეტედფინალში გავიდა. ბოლო ტურში „ნანსი“, ასევე ჯგუფიდან გასულ „ბლექენთან“ საგარეო მატჩში პირველი ადგილის ამბავს გაარკვევს. მესამე ადგილისთვის კი როტერდამში „ფეიენორდი“ და „ვისლა“ იბრძობებიან. პოლანდიელებს მხოლოდ მოგება აძლევთ ხელს, კრაკოველებს ფრეც ეყოფათ.

„ნანსი“ — „ფეიენორდის“ მატჩში მასპინძლები თავიდანვე დომინირებდნენ და 66-ე წუთზე უკვე 3:0 იყო. ბოლო ნახევარი საათი სტუმრებმა ათი კაცით ჩაატარეს როსტონ დრენტეს გაძევების გამო. შეხვედრის მიწურულს ჰოლანდიელთა ვეტერანმა პიერ ვან ჰოილენკმა პენალტი ვერ გაიტანა. მას

ფრანგთა მეკარე ოლივიე სორინმა აულო. აღვნიშნოთ ისიც, რომ მე-80 წუთზე თამაში საკმაოდ დიდი ხნით შეწყდა, რადგან ქომაგებმა მინდორზე ცრემლსადენი გაზის ბალოები ისროლეს.

„ვისლასაც“ და „ბახელსაც“ მოგება სჭირდებოდა და ორივე გუნდმა თავიდანვე მოინდომა. საბოლოოდ უფრო პოლონელებს გაუმართლათ, რომლებიც მე-9 წუთზე აგებდნენ — სტუმართა პეტრინმა გამოიჩინა თავი. არ გასულა ორი წუთიც და პაველ ბროზეკმა ეფექტური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. ორმხრივ იერიშებში მიმდინარე მატჩის ბედი ბოლო წუთებზე გადაწყდა. ჯერ ფან პაული-სტამ იხვირა იაკუბ ბლაშიკოსკის პასით, მერე კი იმავე ბროზეკმა — ასევე ბლაშიკოსკის გადაცე-

მით კრაკოველებმა შეხვედრა ათი კაცით ჩაამთავრეს, მაგრამ ანგარიშის შენარჩუნება შეძლეს.

ამსტერდამის „აიაქსი“ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში უტყვევდა „ესპანიოლის“ კარს, მაგრამ ამოოდ. სტუმართა მეკარე გორკა ირასოსი მშვენივრად ირჯებოდა, ხანაც თავად ჰოლანდიელები სცოდავდნენ. საბოლოოდ ბარსელონურმა კლუბმა ვალტერ პანდიანისა და ფერან კოროს გოლებით 2:0 იმარჯვა და უკვე შემდეგ ეტაპზეა, ისევე, როგორც „ზულტე-ვარეემი“. „აიაქსი“ კი ჯგუფში მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩარჩება, თუ ბოლო ტურში 5 და მეტი ბურთით წააგებს, რაც რთული წარმოსადგენია.

F ჯგუფის მეორე შეხვედრაში „სპარტა“ ტომას რეჰეკას თავუ-

E ჯგუფი

ნანსი 3:0 ფეიენორდი
 10 ბურენი (22), 20 ბაი (33), 30 ზურა (66)
 ვისლა 3:1 პახელი
 0:1 პეტრინი (9), 1:1 ბროზეკი (10), 2:1 პაულისტა (70), 3:1 ბროზეკი (83)
 ნანსი 3 2 1 0 7:3 7
 ბლახაინი 3 2 1 0 5:1 7
 ვისლა 3 1 0 2 5:5 3
 ფეიენორდი 3 0 2 1 1:4 2
 ბახელი 4 0 2 2 4:9 2
 ბოლო ტური: 13 დეკემბერი
 გლამპირნი — ნანსი
 ფეიენორდი — ვისლა

F ჯგუფი

აიაქსი 0:2 ესპანიოლი
 0:1 პანდიანი (36), კორო (78)
 აუსტრია 0:1 სპარტა
 0:1 რეჰეკა (11)
 ესპანიოლი 3 3 0 0 10:2 9
 ზულტა-ვარეემი 3 2 0 1 9:8 6
 აიაქსი 3 1 1 1 3:2 4
 სპარტა 4 1 1 2 2:5 4
 აუსტრია 3 0 0 3 1:8 0
 ბოლო ტური: 13 დეკემბერი
 ესპანიოლი — აუსტრია
 ზულტა-ვარეემი — აიაქსი

G ჯგუფი

გოლესლაჰი 0:0 რაბილი
 პანათინაიკოსი 0:0 რაბილი
 პანათინაიკოსი 3 2 1 0 3:0 7
 ჰაპოელი 3 1 1 1 6:6 4
 რაბილი 4 0 4 0 3:3 4
 ბოლესლაჰი 3 0 2 1 1:2 2
 ჰსე 3 0 2 1 2:4 2
 ბოლო ტური:
 13 დეკემბერი
 ჰსე — პანათინაიკოსი
 ჰაპოელი — გოლესლაჰი

H ჯგუფი

სელტა 1:0 ფენერბაჰჩე
 1:0 კანობო (77)
 აინტრახტი 0:0 ნიუკასლი
 ნიუკასლი 4 3 1 0 4:1 10
 სელტა 3 1 1 1 3:3 4
 ფენერბაჰჩე 3 1 0 2 3:2 3
 პალერმო 3 1 0 2 2:5 3
 აინტრახტი 3 0 2 1 2:3 2
 ბოლო ტური:
 13 დეკემბერი
 პალერმო — სელტა
 ფენერბაჰჩე — აინტრახტი

რით მოუგო „აუსტრიას“, თუმცა ჩეხთა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიზერულია.

G ჯგუფში ორივე შეხვედრა უოლოდ დასრულდა და ვითარება კიდევ უფრო ჩაიხლართა. ერთადერთი ის არის ცნობილი, რომ ბერძნული „პანათინაიკოსი“ შემდეგ ეტაპზე, ხოლო მეორე და მესამე მეთექვსმეტედფინალის საგზურის მოპოვების შანსი ოთხივე გუნდს რჩება. ბუქარესტის „რაბილის“ ბედი, რომელმაც ოთხივე შეხვედრა ფრედ ითამაშა, ახლა სხვის ხელშია. ბოლო ტურში ჰსე-მ აუცილებლად მოგებაზე უნდა ითამაშოს შინ „პანათინაიკოსთან“.

„პალერმო“ — „ბოლესლაჰის“ შეხვედრაში კი მასპინძლებს ქულაც ჰყოფნით, ჩეხებმა კი აუცილებლად უნდა იმარჯვონ.

არანაკლები არეულობა და დაძაბულობა **H** ჯგუფში. „ნიუკასლს“, რომელმაც უგოლო ფრე ითამაშა სტუმრად „აინტრახტთან“, პირვე-

ლი ადგილი გარანტირებული აქვს, დანარჩენი კი ჯერ უცნობია. არადა, ფრანკფურტელებს მრავალი საგოლე მომენტი ჰქონდათ და წესით, უნდა მოეგოთ კიდევ, მაგრამ... არ გაუმართლა „ფენერბაჰჩესაც“, რომელსაც უკვე მე-12 წუთზე გოლის გატანის ბრწყინვალე შანსი ჰქონდა, მაგრამ ალექსმა პენალტი ვერ გაიტანა. სტამბოლულები ამის მერეც ფლობდნენ უპირატესობას, თუმც იბრაჰიმი ვიგოელთა მხარეს იყო. საბოლოოდ, 77-ე წუთზე, ფაბიან კანობომ მშვენივრად შეასრულა საჯარიმო დარტყმა და „სელტამ“ საჭირო სამი ქულა მოიპოვა.

ბოლო ტურში „სელტა“ „პალერმოს“ სტუმრობს და ფრეზეც ყაბულს იქნება, მაგრამ სიცილიელებს ჯგუფიდან გასასვლელად აუცილებლად მოგება სჭირდებათ. „ფენერბაჰჩე“ კი „აინტრახტს“ მასპინძლობს და სულ მცირე, არ უნდა წაავოს.

გიორგი კაპაბაძე



დაპიანის ჩელსი არ გაუბონია



„მილანი“ ბრაზილიელი მეკარის დიდას აგენტმა ოსკარ დამიანიმ უარყო ხმები, თითქოს მიხი კლიენტის შექმნით ლონდონის „ჩელსი“ დაინტერესებული. სხვა საქმეა, რომ შავ-წითლებთან დიდ კონტრაქტს ვადა 2007 წლის ივლისში გაუდის და ამდენად, ცხადზე უცხადესია, რომ გოლკიპერის მომავალი გასარკვევია.

მეორე მხრივ გასაგებია თუ რატომ ახსენეს დიდასთან დაკავშირებით „ჩელსი“ — ლონდონელებს სეზონის დასაწყისში ჩეზი მეკარე პეტრ ჩეზი დაუშვადათ სერიოზულად და ისინი მისი შემცველის ძიებაში არიან.

„ამ წუთას „ჩელსის“ და მისი რაიმე ინტერესის შესახებ ჩემთვის არაფერია ცნობილი — განაცხადა

აგენტმა დამიანი — ჩვენ არც ერთ კლუბთან არ გვილაპარაკია, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ იმიტომ, რომ ამის ნება წესების თანახმად არ გვაქვს და ჩვენ წესებს პატივს ვცემთ. ყველაზე მეტად ის გაგვიხარდება თუ დიდა ისევ „მილანთან“ გაახანგრძლივებს კონტრაქტს, მაგრამ თუ ეს ამბავი არ გამოვა, მაშინ ახალი კლუბის ძიებას იანერიდან შევუდგებით“.

საინტერესოა, რომ როგორც მეკარე და მისი აგენტი, ასევე „მილანი“ ამბობენ, რომ ერთმანეთთან კონტრაქტის გახანგრძლივება სურთ, მაგრამ საქმე ადვილიდან არ იძვრის. იმასაც ამბობენ, რომ სინამდვილეში დიდა „მილანიდან“ წავა და მის დაგილს „ლივორნოს“ მარკო ამელია, ათენის აეკის სტეფანო სორენტინო ან „იუვენტუსის“ ჯანლუიჯი ბუფონი დაიკავებს, თუმცა ამელიაზე „ლივორნო“ განაცხადა, იანვარში არავითარ შემთხვევაში არ გავეყიდით.

„ხომ ხედავთ, ორ ფრონტზე ვიბრძვით, შინ და ევროპაში, ასე რომ, ამელიას გაყიდვაზე ახლა ლაპარაკიც არ შეიძლება — ამბობს „ლივორნოს“ მწვრთნელი ალდო სპინელი — ივნისში კი ვნახთ, რა მოხდება. სხვათა შორის, ჩვენი მეკარის შექმნა დაფინანსებით სურთ ინგლისურ კლუბებსაც“.

ამ ინგლისურ კლუბთა შორის უნდა იყვნენ „ლივერპული“ და „რასა-კვირელია ჩელსი“.

ბაკუნა კელიძე



ოუენი საუბორო სასწაულს ელის

მიუნხენის „ბაიერის“ ინგლისელი ნახევარმცველი ოუენ პარგრივისი ამბობს, რომ იანვარში „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლაზე ჯერ კიდევ ოცნებობს, მაგრამ „ბაიერნმა“ მართლა რომ გაუშვას, ნამდვილი სასწაული იქნება. მოგეხსენებათ, „მანჩესტერ იუნაიტედში“ პარგრივისის სანაცვლოდ ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში იძლეოდა 25 მილიონ ევროს და მისმა მწვრთნელმა ალექს ფერგუსონმა განაცხადა, რომ იანვარში თავიდან გამოვა ფულს, მაგრამ გარიგებას მყიდველის გარდა გამყიდველიც რომ სჭირდება?

25 წლის ოუენ პარგრივისს ბურთი 16 სექტემბრის შემდეგ არ გაუგორებია, რადგან ამ დღეს ბიელფილდის „არმინიასთან“ შეხვედრაში ფეხი მოიტეხა და საბოლოო განკურნებამდე ჯერ დიდი დრო აქვს.

„იმედი მქონდა, რომ ამ სეზონში ორჯერ ან სამჯერ თამაშს შევძლებდი, მაგრამ როგორც ჩანს, ჯობია თავი შევიკავო“ — ამბობს ფეხბურთელი.

„ბაიერნი“ კი ფანებს ჰპირდება, რომ პარგრივისს, რომელსაც 2010 წლამდე აქვს კონტრაქტი გაფორმებული, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე არსად გაუშვებს.

— „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყველა ცდა ამაო იქნება — განაცხადა „ბაიერნის“ გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა — გამოიცხადებია იანვარში ვინმეს მივეცილოთ“.

ბაკუნა კელიძე

XIV ტური	
დღეს	
ინტერი :	სიენა
რომა :	ატალანტა
სვალ	
კალინარი :	მილანი
ასპოლი :	პატანია
ფორინო :	ლაციო
ლივორნი :	პიეჩენცა
პარმა :	სამპდორია
პარმა :	პალერმო
ტორინო :	პეორინო
უდინეზე :	რავენა

ინტერის მესინა ქელამდე კამბიასოს ნახავს



„ინტერის“ ნახევარდაცვაში დაცვას ესტუმრება კამბიასო მხედვას

ზედზედ ხუთი გამარჯვებით იწონებს თავს მეორე ადგილზე მყოფი „რომა“, რომელიც „ინტერის“ მსგავსად შინ თამაშობს, მისი მეტოქე „ატალანტა“. რომელიც კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი ჰყავთ საუცხოო ფორმაში. მან წინა ტურშიც საგანგებოდ გამოიჩინა თავი — შეხვედრაში, რომელიც ჯალიროსიმ „სამპდორიას“ 4:2 მოუგო, ტოტი ორი გოლი გაიტანა. ასე და ამგვარად, რომელიც მწვრთნელისთვის ლუჩანო სპალეტისთვის ცხადზე უცხადესია, ვინ უნდა ითამაშოს დღევანდელ შეხვედრაში ერთადერთი თავდამსხმელის პოზიციაზე — ვინჩენცო მონტელა და მირკო ვუჩინი ისევ სათადარიგოთა სკამზე იჯდებიან.

საერთოდაც სააღვლეთი, როგორც ჩანს, მხოლოდ ერთ ცვლილებას გეგმავს — მარცხენა მცველად მაქს ტონეტოს დააყენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მარკო კასეტი სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებს, ხოლო კრისტიან პანუნი მარჯვენა მცველის საყვარელ პოზიციაზე გადაინაცვლებს.

სერია A-ს მოულოდნელი ლიდერთაგანი „პალერმო“ კი „რომას“ ორი ქულით ჩამო-

ინტერი	13	10	3	0	27:14	33
რომა	13	9	2	2	30:10	29
პალერმო	13	9	0	4	27:18	27
ლივორნი	13	5	5	3	15:13	20
ემპოლი	13	4	7	2	12:9	19
კატანია	13	5	4	4	18:24	19
ლაციო	13	6	3	4	22:12	19
ატალანტა	13	4	5	4	20:20	17
სიენა	13	4	6	3	13:14	17
უდინეზე	13	4	4	5	13:14	16
კალიარი	13	2	8	3	11:12	14
მესინა	13	3	5	5	16:20	14
ტორინო	13	3	5	5	9:17	14
სამპდორია	13	3	4	6	19:21	13
მილანი	13	5	4	4	12:12	11
პარმა	13	2	2	9	12:27	8
კიევი	13	1	4	8	11:19	7
ფიორენტინა	13	6	2	5	20:15	5
ასკოლი	13	0	5	8	7:19	5
რეჯინა	13	4	4	5	14:18	1

სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, ლაციოს 3 ქულა, მილანს 8 ქულა, რეჯინას 15 ქულა, ფიორენტინას 15 ქულა

რჩება და იოლად შეუძლია პოზიცია შეინარჩუნოს. სიცილიელები გაჭირვებულ „პარმას“ სტუმრობენ. შეგახსენებთ, რომ პარმელეებმა ბოლო სამი თამაში წააგეს.

„მილანი“ კალიარიში ჩადის და, ბუნებრივია, მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობს. მოგეხსენებათ, კალიარის გამო დასჯილმა შავ-წითლებმა ჩემპიონატი მინუს რვა ქულით დაიწყეს, მაგრამ პირველი სამი თამაში რიხიანად მოიგეს. აი, ამის შემდეგ კი ცუდი პერიოდი დაეწყო და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ წინა ტურში პაოლო მალდინის თავურმა მოუტანათ მონატრებული სამი ქულა.

და „კალიარი“ რაღა გუნდია? „კალიარი“ ის გუნდია, რომელმაც წინა ტურში ზედიზედ მესამედ წააგო, მაგრამ მანამდე რვა ფრე ჰქონდა ნათამაშები და ამიტომ მეორე-თმეტე ადვილზეა.

ბაკუნა კელიძე





Table with 7 columns: Time, Race No., Name, and results (1, X, 2, 1-X, 1-2, X-2). Includes races 217-222, 223-234, 243-244.

Table with 7 columns: Time, Race No., Name, and results. Includes 'ბელგია. I დივიზიონი' and 'პოლანდია. I დივიზიონი' sections.

Table with 7 columns: Time, Race No., Name, and results. Includes 'პორტუგალია. I დივიზიონი' and 'პორტუგალია. II დივიზიონი' sections.

I ტაიიის შედეგი

Large table showing results for 'I ტაიიის შედეგი' with 7 columns: Race No., Name, and results (1, X, 2, 1-X, 1-2, X-2).

I ტაიში/ძირითადი ღრუ

Large table showing results for 'I ტაიში/ძირითადი ღრუ' with 10 columns: Race No., Name, and results (1/1, 1/X, 1/2, X/1, X/X, X/2, 2/1, 2/X, 2/2).

